რომის რესპუბლიკის მმართველობა

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

მიზანი - მოსწავლეები გაანალიზებენ წყაროს რომის რესპუბლიკის მმართველობის შესახებ.

აქტივობაში წარმოდგენილია მეორადი წყარო, რომელიც ეხება რომის რესპუბლიკის მმართველობის აღწერას. წყაროს თან ახლავს რამდენიმე აქტივობა, რომელთა შესრულების შემთხვევაში, მოსწავლეები შეძლებენ უკეთ გაერკვნენ რესპუბლიკური ეპოქის რომაული სახელმწიფოს ფუნქციონირებაში. ამ აქტივობის გამოყენებისას, მასწავლებლებს ეძლევათ სრული თავისუფლება - მათ შეუძლიათ შეცვალონ, დაამატონ ან განსხვავებული სახით ჩაატორონ წარმოდგენილი აქტივობები.

წინამდებარე აქტივობა განკუთვნილია VII და X კლასის მოსწავლეებისთვის.

P.S. ნაწილობრივ გამოყენებულია ხელოვნური ინტელექტი

რესპუბლიკური მაგისტრატურის ძირითადი ნიშნებია:

1. არჩევითობა,
2. კოლეგიალობა,
3. თანამდებობაზე ყოფნის ერთწლიანი ვადა,
4. სამსახური ანაზღაურების გარეშე და 5. პასუხისმგებლობა.

მაგისტრატები ირჩეოდნენ კომიციებში როგორც წესი ერთწლიანი ვადით და კოლეგიალურად - წყვილად; მათ თანაბარი უფლებამოსილებანი და ვეტოს უფლება ჰქონდათ საკუთარი კოლეგის გადაწყვეტილების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მაგისტრატების სამსახური დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ისინი ანაზღაურების გარეშე მუშაობდნენ; პოსტის დაკავებისას თანამდებობის პირები ფიცს დებდნენ, რომ იმოქმედებდნენ კანონის შესაბამისად. მაგისტრატი, რომელიც ბოროტად გამოიყენებდა საკუთარ ძალაუფლებას, ისჯებოდა, როგორც ბრალდებული პირი.

მუდმივმოქმედი მაგისტრატურები

1. კონსულატი. რომში ორ კონსულს ერთი წლის ვადით ირჩევდნენ. ამ წელს, კონსულების სახელით მოიხსენიებდნენ. ისინი ახორციელებდნენ უზენაეს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებას, რომლის გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენდა სამკერდე ნიშანი და ღირსების სიმბოლოები: ლიქტორები (მცველები) და პორფირის ტოგა (სპეციალური მოსასხამი);
2. პრეტურა. თავდაპირველად პრეტორი მაგისტრი იყო, რომელსაც ენიჭებოდა უზენაესი ხელისუფლება. ზოგიერთ კანონში პრეტორი მოიხსენიება როგორც კონსულის კოლეგა -

უმცროსი თანაშემწე. იმავე კანონით, პრეტორი აღიჭურვა მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მართლმსაჯულება - ინსტიტუციურად გამოეყო აღმასრულებელ ხელისუფლებას. ქრ. შ-მდე 242 წ. შემოღებულ იქნა ახალი თანამდებობა პრეტორ პერეგრინუს, რომლის კომპეტენციაში შედიოდა სასამართლო დავების განხილვა-გადაწყვეტა რომაელ მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის.

3. კვესტურა. კვესტორი კონსულის თანაშემწეა. თუმცა, პირველ რიგში, მისი სპეციალიზაცია მდგომარეობდა სახელმწიფო დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივ დევნასა და მათი დანაშაულის გამოძიებაში. გარდა ამისა, კვესტორებს ევალებოდათ სახელმწიფო ხაზინისა და სხვა საზოგადოებრივი ქონების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

4. ედილიტეტი. თავდაპირველად, ედილები პლებსის ღვთაებათა კულტს ემსახურებოდნენ. მოგვიანებით, მათ მოვალეობაში შედიოდა: რომში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა; ქალაქის უზრუნველყოფა ხორბლითა და სარჩო-სანოვაგით და თამაშების ორგანიზება.

5. ცენზურა. ეს თანამდებობა არ იყო მუდმივმოქმედი მაგისტრატურა. ცენზორებად ხუთი წლის ვადით აირჩეოდნენ ყოფილი კონსულები. მათი მოვალეობა იყო 18 თვის განმავლობაში მოქალაქეების აღწერა და მათი ქონებრივი ცენზის მიხედვით გარკვეულ კატეგორიებში გამწესება. ცენზორი ზედამხედველობდა მოქალაქეთა ზნეობრივ პრინციპებს - (თუ აღმოჩნდებოდა, რომ მოქალაქემ ჩაიდინა უზნეო ქმედება, მას ამორიცხავდნენ მოქალაქეთა სიიდან - წერილობითი მითითება მის მიერ ჩადენილი უღირსი ქმედების შესახებ) და ახორციელებდა სენატის დაკომპლექტებას.

6. სახალხო ტრიბუნატი. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად პლებსის ტრიბუნები წარმოადგენდნენ პლებეების რევოლუციურ ბელადებს სოციალური თანასწორობისათვის პატრიციების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლაში, პატრიციატი იძულებული გახდა ეღიარებინა მათი ვეტოს უფლება მაგისტრატების მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე და მოქალაქეთა დაცვის უფლება, აგრეთვე სენატისა და პლებსის კრებების მოწვევის უფლება. სახალხო ტრიბუნის ინსტიტუტი ძვ. წ. 494 წელს შემოიღეს. ტრიბუნის ფუნქცია იყო დაეცვა პლებსის უფლებები. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც პლებეებმა დატოვეს რომი და პატრიციებმა მათი დაბრუნება მხოლოდ მას შემდეგ შეძლეს, როდესაც დათანხმდნენ ახალი მაგისტრატურის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც პლებსის ინტერესები უნდა დაეცვა.

ტრიბუნების არჩევა ხდებოდა ყოველწლიურად კომიციაზე. თავდაპირველად ირჩევდნენ ორ ტრიბუნს, ხოლო დროთა განმავლობაში მათი რაოდენობა გაიზარდა, ძვ. წ. 450 წელს უკვე 10 ტრიბუნი ირჩეოდა. ტრიბუნები ხელშეუხებლები იყვნენ, მათ ჰქონდათ უფლება ჩარეულიყვნენ სხვა მაგისტრატურების საქმეებში და სარგებლობდნენ ვეტოს უფლებით (veto - ლათინურად ნიშნავს ვკრძალავ). მათ, ასევე ერთმანეთის საქმიანობისთვის შეეძლოთ ვეტოს დადება (დიქტატორის გარდა).

ტრიბუნის სახლი ყოველთვის ღია იყო და ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო, რათა პლებეებისთვის დახმარება აღმოეჩინა. ტრიბუნი ერთადერთი თანამდებობა იყო, ვისაც შეეძლო პლებეების კომიციაზე თავმჯდომარეობა. მას, ასევე შეეძლო სენატის სხდომაზე წამოეყენებინა მოთხოვნები. მიუხედავად ამისა ტრიბუნის ძალაუფლება ქალაქის გარეთ არ ვრცელდებოდა.

7. დიქტატურა. მაგისტრატურის განსაკუთრებული სახეობას წარმოადგენდა დიქტატურა. დიქტატორს საგანგებო გარემოებებში ნიშნავდნენ კონსულები. დიქტატორის უფლებამოსილება გრძელდებოდა მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში. ამ დროის მანძილზე მისი ხელისუფლება ატარებდა ერთპიროვნულ ხასიათს და მის კომპეტენციაში შედიოდა უზენაესი სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია.
დიქტატურის პირობებში, დროებით შეჩერებული იყო მოქალაქეთა ყველა უფლებების მოქმედება.

რომში დაუშვებელი იყო ერთი პირის ხელში რამდენიმე მაგისტრატურის შეთავსება, აგრეთვე ერთსა და იმავე თანამდებობაზე ზედიზედ არჩევა. ძვ.წ. 180 წ. დადგინდა, რომ ერთი და იგივე პირი, განმეორებით, იმავე ან სხვა თანამდებობაზე აირჩეოდა მხოლოდ 2 წლის შემდეგ. ამავე კანონით, განისაზღვრა მაგისტრატურების გავლის თანმიმდევრობა შემდეგი წესით: კვესტურა, ედილიტეტი, პრეტურა, კონსულატი; რაც შეეხება ცენზორსა და დიქტატორს - ამ თანამდებობაზე აირჩეოდა მხოლოდ ყოფილი კონსული.

სენატი

სენატი იყო რესპუბლიკური რომის უმაღლესი საკანონმდებლო და სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში აირჩეოდნენ სენატორი - პატრიციები (“Patres” - მამები) და სენატორი პლებეები (ე.წ. “Conscripti” - მიწერილნი).

სენატის კომპეტენციაში შედიოდა: ომის გამოცხადება და ზავის დადება; რელიგიურ ცერემონიალის აღსრულებაზე ზედამხედველობა; საზოგადოებრივი ფინანსების მართვა და მხედართმთავრების დანიშვნა. აღნიშნული ფუნქციები იმაზე მეტყველებს, რომ სენატის როლი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სათათბირო უფლებამოსილებით. თუ მაგისტრატების ხელისუფლება დროში იყო შეზღუდული, სენატი მუდმივმოქმედი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც ამტკიცებდა კომიციების მიერ მიღებულ კანონებს, ხოლო სენატი დადგენილებების მეშვეობით ახორციელებდა საკანონმდებლო საქმიანობას. სენატორთა რიცხვი პერმანენტულად იზრდებოდა და III საუკუნის დასაწყისში 1 000 კაცს შეადგენდა.

სახალხო კრებები

თავდაპირველად, მაგისტრატების არჩევა და კანონპროექტის ირგვლივ ხმის მიცემა სახალხო კრების კომპეტენციაში შედიოდა, რომელიც ცენტურიებად იყო დაყოფილი.

მოგვიანებით, მათ დაემატა პლებსის კრება, რომელიც იღებდა კანონის ძალის მქონე გადაწყვეტილებას. ცენტურიული კომიციის კომპეტენციაში შედიოდა უმაღლესი მაგისტრატების - კონსულების, ცენზორების, პრეტორების არჩევა (დანიშვნა). ტრიბუტული კომიციები ირჩევდნენ უდაბლეს მაგისტრატებს ედილებსა და კვესტორებს; პლებსის კრებებზე აირჩევდნენ პლებსის ტრიბუნებს. ამ კრებებზე მაგისტრატებად ირჩეოდნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც წარდგენილი იყვნენ მოქმედი მაგისტრატების მიერ.

დავალება:

აქტივობა 1.

ორგანიზება: *მცირე ჯგუფებში მუშაობა*

დავალება:
გაეცანით მაგისტრატურის შესახებ ქვემოთ მოცემულ მახასიათებლებს:

1. არჩევითობა
2. კოლეგიალობა
3. თანამდებობაზე ყოფნის ერთწლიანი ვადა
4. სამსახური ანაზღაურების გარეშე
5. პასუხისმგებლობა

მომზადება საკლასო დისკუსიისთვის:

- ახსენით, რას ნიშნავს თითოეული მახასიათებელი თქვენი სიტყვებით.
- უპასუხეთ შეკითხვებს:

✓ რატომ იყო თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი?
✓ როგორ ეხმარებოდა ეს პრინციპები რომის რესპუბლიკას, რომ არ ჩამოყალიბებულიყო ერთპიროვნული მმართველობა?
✓ რამდენად დემოკრატიულად მიგაჩნიათ ეს სისტემა?

აქტივობა 2.

ორგანიზება: წყვილებში ან სამკაციან ჯგუფებში მუშაობა
დავალება:
აირჩიეთ ერთი მაგისტრატურა (მაგ. კონსული, პრეტორი, ტრიბუნი, ცენზორი და სხვ.) და მოამზადეთ მინი-პრეზენტაცია, რომელიც პასუხობს შემდეგ კითხვებს:

✓ რას აკეთებდა ეს მაგისტრატი?
✓ როგორი უფლებამოსილება ჰქონდა?
✓ ვის ემორჩილებოდა და ვისზე ჰქონდა ძალაუფლება?
✓ რას გრძნობდა რომაელი მოქალაქე ამ მაგისტრატის მიმართ?
✓ თქვენი აზრით, რომელი თანამედროვე თანამდებობა შეესაბამება ამ ფუნქციებს?

აქტივობა 3.

საკლასო დებატები
შეკითხვა დისკუსიისთვის:

- ✓ რომის რესპუბლიკაში რეალური ძალაუფლება სენატს ჰქონდა და არა არჩეულ მაგისტრატებს. ეთანხმებით თუ არა ამ დებულებას?

მოსწავლეების ამოცანა:

- მოიყვანონ მინიმუმ ორი არგუმენტი წყაროზე დაყრდნობით, რატომ ჰქონდა სენატს ან მაგისტრატებს უფრო მეტი ძალა.
- დისკუსიის შემდეგ შეავსეთ მოკლე ანალიზის ცხრილი:

- ✓ სენატის კომპეტენციები
- ✓ მაგისტრატთა კომპეტენციები
- ✓ ვინ ვის აკონტროლებდა?

აქტივობა 4.

ორგანიზება: ინდივიდუალური კითხვა-პასუხი + შედარება წყვილების მიერ
დავალება:

1. ჩამოწერეთ თქვენი სიტყვებით, რას აკეთებდა თითოეული სახალხო კრება:

- ✓ ცენტურიული
- ✓ ტრიბუტული
- ✓ პლებსის კრება

2. შემდეგ, იმსჯელეთ წყვილებში:

- ✓ როგორ უზრუნველყოფდა ეს სისტემა მოქალაქეთა მონაწილეობას?
- ✓ ვის ეძლეოდა უფლება მიეღო მონაწილეობა?
- ✓ რამდენად სამართლიანი იყო ხმის მიცემის პრინციპი?

აქტივობა 5

ჯგუფური მუშაობა: ჯგუფური მუშაობა (4-5 მოსწავლე)
დავალება:
შექმენით ვიზუალური სქემა, რომელიც ასახავს რომის რესპუბლიკის მმართველობის სტრუქტურას. აუცილებლად უნდა გამოჩნდეს:

- სენატი
- სახალხო კრებები
- მაგისტრატები (თითოეული თანამდებობით)
- მათი ურთიერთდამოკიდებულება; კონტროლის და ბალანსის მექანიზმები (მაგ. ვეტო, არჩევითობა)

რეკომენდაცია: მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ფერები და სიმბოლოები – სიმბოლოები ძალაუფლებისთვის, ისრები ურთიერთკავშირებისთვის და ბალანსის ასახვისთვის.